25.09.2013 №271

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060135695955613

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 2050 **23 / სექტემბერი / 2013 წ.**

საქართველოს რეფორმების ასოციაციის
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 11 სექტემბერს შემოსული N538 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

- მიმდინარე წლის ივლისში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს "ჯორჯიან-მანგანიზი"-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეული მოპოვების N100330 ლიცენზიით (მანგანუმის მოპოვება) გათვალისწინებული პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმება. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევისაში და სოფელ რგანში შპს "ჯორჯიან მანგანეზი"-ს მიერ 2007-2013 წლებში წიაღის მოპოვებითი სამუშაოები განხორციელდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით. კერძოდ, კარიერის დამუშავებისას 9,36 ჰა ფართობიდან მოხსნილი და დასაწყობებული იქნა ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რამაც გამოიწვია ნიადაგის დეგრადაცია და განადგურება. გარემოსადმი მიყენებული ზიანის ოდენობამ შეადგინა 2 079 582,34 ლარი. მიმდინარეობს მასალების მომზადება სამართალდამცავ ორგანოებში გადასაგზავნად;
- შემოწმებულ იქნა შპს "Wood Export"-ზე გაცემული ხე-ტყის დამზადების N1000013 სპეციალური ლიცენზიებითა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობა. შემოწმებით გამოვლინდა ხე-ტყის უკანონო ჭრებისა და ტყეკაფების გაუწმენდაობის ფაქტები, გარემოსათვის მიყენებული ზიანის საერთო თანხამ შეადგინა 191 701, 25 ლარი. მასალები გადაგზავნილი იქნა ჭიათურის რაიონულ პროკურატურაში;
- გამოვლინდა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიანტის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტებისა და სპეციალური ფირნიშის აღრიცხვა-ანგარიშგების წესების დარღვევის (ასკ-ის 128^5-ე მუხლის II ნაწილი) 1 ფაქტი;
- ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების (ასკ-ის 128^2-ე მუხლის IV ნაწილი) 1 ფაქტი (გარემოზე მიყენებული ზიანი 333,0ლარი);
- ზემოაღნიშნული პუნქტებში დარღვევების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის საერთო თანხამ სულ შეადგინა 2 271 316,59 ლარი.

- მიმდინარე წელს ჭიათურის რაიონულ პროკურატურაში გადაიგზავნა 1 საქმე (შპს "Wood Export"-ზე გაცემული ხე-ტყის დამზადების N1000011 და N1000013 სპეციალური ლიცენზიებით გათვალიწისნებული პირობების შესრულების შემოწმების მასალები). ასევე მიმდინარეობს მასალების სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის პროცესი კიდევ ერთ საქმეზე (შპს "ჯორჯიან მანგანეზი"-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N100330 ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემოწმების მასალები);
- ჭიათურის რაიონში შემოწმებულ იქნა 2 მეწარმე-სუბიექტი: შპს "ჯორჯიან-მანგანიზი" და შპს "Wood

Export". გარდა ამისა, გამოვლენილია სასარგებლო წიაღისეული ლიცენზიის პირობების დარღვევის (ყოველწლიური ანგარიშის წარმოუდგენლობა) 10 ფაქტი, ასკ-ის 57^3-ე მუხლის შესაბამისად;

- ჭიათურის რაიონში ამჟამად ფუნქციონირებს 18 გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე საწარმო, 15 - მრგვალი მორის სახერხი საამქრო, გაცემულია 31 სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზია, 2 - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე ბენდელიანი